

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს სკოლა გრაალის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
კესო ბოყოველი
წევრ(ებ)ი:
ლელა ეუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა გრაალი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404901166

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქუჩა, N 51
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://graali.edupage.org/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Skola.graali@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	571051188

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	*შპს სკოლა გრაალის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 15 მაისის MES 5 26 0000576509 ბრძანება*
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	*2026 წლის 21 მაისი*

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 21 აპრილს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, კერძოდ, შიდა აუდიტის დეპარტამენტიდან შევიდა წერილი, რომელსაც თან ერთვოდა განცხადება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - შპს სკოლა გრაალის (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება) მიერ მოსწავლის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. განცხადება შემოტანილია ადვოკატის მიერ, რომელმაც, ასევე, წარმოადგინა მინდობილობა.

განმცხადებელი საჩივარში მიუთითებს, რომ წარმოადგენს არასრულწლოვან კ.მ.-ს, რომელიც დაზარალებულად იქნა ცნობილი თბილისის პროკურატურის არასრულწლოვნების საქმეთა სამმართველოს პროკურორის დადგენილებით 2026 წლის 13 მარტს.

განმცხადებლის საჩივრის თანახმად, 2026 წლის 11 მარტს დაახლოებით 15:30 საათზე კერძო სკოლა გრაალში მივიდა არასრულწლოვანი მოსწავლე, რომელიც კერძოდ ემზადებოდა ამავე სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელთან მათემატიკაში. სკოლაში მისულმა მოსწავლემ საკლასო ოთახიდან, რომელიც გადიოდა ეზოში, დაინახა თავისი მასწავლებელი და მასთან ერთად მყოფი იმავე სკოლის სხვა მათემატიკის მასწავლებელი გ.ბ., რომლებიც სვამდნენ ალკოჰოლს და იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში. მოსწავლე გაემართა თავისი მასწავლებლის მიმართულებით, რა დროსაც მას ხელი ძლიერად მოჰკიდა მეორე, მისთვის უცხო მასწავლებელმა. მან ბავშვს რამდენჯერმე დაარტყა ხელი თავის არეში, ასევე, ხელი ძლიერად მოუჭირა ხელზე, რის შედეგადაც მოსწავლემ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

გ.ბ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. მას აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა. ის თავის გამოკითხვისას მიუთითებს, რომ იყო ძალიან ნასვამი და არაფერი ახსოვს მომხდარ ფაქტზე. იგი იმდენად იყო ნასვამი, რომ სახლისკენ მიმავალი ქუჩაში წაიქცა და მიიღო სხეულის ზედაპირული დაზიანებები.

მოსწავლის მათემატიკის მასწავლებელიც, გამოკითხვისას, ასევე, მიუთითებს, რომ არაფერი ახსოვს, ძალიან ნასვამი იყო, სკოლაში ჩაეძინა და როცა გაეღვიძა წავიდა სახლში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ კერძო სკოლა გრაალში 2026 წლის 11 მარტს კამერებიც კი არ მუშაობდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მომხდარი ფაქტის შესახებ ჩანაწერების ნახვა.

საჩივარში, ასევე, აღნიშნულია რომ მასწავლებლების მიერ სკოლაში ალკოჰოლური სასმელის მიღების ფაქტზე რეაგირების მიზნით გამოძიების მიერ სკოლის დირექტორს გაეგზავნა წერილი, რის პასუხადაც სკოლამ განმარტა, რომ გ.ბ.- ს დროებით შეუჩერდა ხელშეკრულება, ხოლო მატემატიკის მასწავლებელს გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

საჩივრის ავტორის თქმით, სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება არ არის საკმარისად მკაცრი და არ შეეფერება ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხარისხს. ის, ასევე, აღნიშნავს, რომ ყოველი ფიზიკური ძალადობა სკოლაში, სკოლის პედაგოგის მხრიდან არის ყველაზე მძიმე სახდელის გამოყენების საფუძველი, ისევე, როგორც ალკოჰოლის მიღება და თან იმ დოზით, რომ მასწავლებლებს არ ახსოვთ მომხდარი ფაქტი. ადვიკატის მითითებით, მასწავლებლის მიერ ალკოჰოლის მიღება: არღვევს ბავშვთა საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპს; ქმნის რისკს არასრულწლოვანთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისთვის.

ადვოკატი დამატებით აღნიშნავს, რომ მათემატიკის მასწავლებელმა არაფერი მოიმოქმედა როდესაც მოსწავლეზე ფიზიკურად ძალადობდა მისი კოლეგა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორმა მოითხოვა:

1. 2026 წლის 11 მარტს შპს კერძო სკოლა გრაალში მომხდარი ფაქტი და ამ ფაქტზე კერძო სკოლის რეაგირება.
2. მასწავლებლები გათავისუფლდნენ სკოლიდან;
3. გადამოწმდეს მათემატიკის მასწავლებელი ასწავლის თუ არა თბილისის სხვა საჯარო სკოლაში და გათავისუფლდეს იმ სკოლიდან სადაც ასწავლის.

4. შესწავლილ იქნეს რამდენად პასუხობს სკოლა გრაალი მოსწავლეთა უსაფრთხოების სტანდარტებს, რამდენად არის კანონთან შესაბამისობაში სკოლის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, რამდენად ობიექტურია სკოლის დისციპლინარული კომიტეტი.

საჩივარში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
100	43

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

- *სრულად აღმოიფხვრა ხარვეზი მესამე სტანდარტის შემდეგ ინდიკატორთან მიმართეით:3.4.1.4, 3.4.1.5;*

- *მესამე სტანდარტის ინდიკატორები: 3.5.1.4, 3.1.2.3 - შეფასდა როგორც ,, მეტწილად შეესაბამება'';*
- *მესამე სტანდარტის 3.1.1.1; 3.1.1.2; 3.4.1.1, 3.4.1.2, 3.4.1.3, 3.4.1.6, 3.4.1.7, 3.4.1.8 - ინდიკატორების საბოლოო შეფასება არ შეცვლილა და შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება''*

ვიზიტის აღწერილობა

საჩივარში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული, ასევე, ვიზიტის განხორციელების ეტაპზე გამოვლენილი, მონიტორინგის საფუძვლების ირგვლივ არსებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ვიზიტის დაწყებისთანავე, ექსპერტთა ჯგუფი დაუკავშირდა არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს. მასთან აწარმოა გასაუბრება და ამასთანავე სთხოვა დაეზუსტებინა მოთხოვნა. მშობლის განცხადებით მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შემოწმდეს უსაფრთხოების ნაწილი სრულად, რადგან მისი შვილის მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ სხვა მოსწავლეები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწვლა შემდეგი საკითხები:

- სკოლის ორგანიზაციული მოწყობა, სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების საკითხი;
- პერსონალის კვალიფიკაცია;
- სკოლაში მოქმედი გასაჩივრების მექანიზმები;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მოსწავლეების უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაცია და მექანიზმი;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, მათ შორის: ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობა, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, პერსონალური მონაცემების და ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური დაცვის საკითხები, საზოგადოებრივი წესრიგისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები და წინამდებარე პროცესებთან მიმართებით განხორციელებული პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგები;
- ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის საკითხი.

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სასკოლო დოკუმენტაცია, ინტერვიუ განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, დირექციასთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათ შორის არასრულწლოვანის დედასთან, მათემატიკის მასწავლებელთან და სკოლის მოსწავლეებთან.

წარმოგიგდენთ საჩივარში დაფიქსირებულ რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ,

1. *არასრულწლოვანის მშობელმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ როდესაც მისი შვილი მივიდა სკოლაში, 2026 წლის 11 მარტს, მათემატიკის მასწავლებლის და მასწავლებელ - გ.ბ-ს გარდა, სკოლის ტერიოტრიაზე არ იმყოფებოდა არავინ. სკოლის დირექციამ განმარტა, რომ სკოლაში 09 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით იყო საგაზაფხულო არდადეგები, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის კალენდარით. ასევე, დირექტორის განმარტებით, არდადეგებთან დაკავშირებით ის არ იმყოფებოდა ქალაქში. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის ეზოში იყო მხოლოდ დირექტორის მოადგილე, რომელიც, ასევე, მიემგზავრებოდა ქალაქ ქუთაისში ოჯახური პრობლემების გამო, შესაბამისად, მალევე, თვითონაც დატოვა სკოლის ტერიტორია. მისი სკოლაში ყოფნის პერიოდში კი ორივე მასწავლებელი სკოლაში იმყოფებოდა.*
2. *სკოლის მათემატიკის მასწავლებელი სკოლის შენობაში ამზადებს სხვა სკოლის მოსწავლეებს მათემატიკაში - სკოლის დირექციის განმარტებით, მათემატიკის მასწავლებელი ნამდვილად ამზადებს სხვა სკოლის მოსწავლეებს, თუმცა მასთან გაფორმებულია შესაბამისი ქვექირავნობის ხელშეკრულება. საბოლოოდ, სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის მასწავლებელთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება, თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილი არ იქნა ძირითადი ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე დადგინდებოდა ჰქონდა თუ არა სკოლას აღნიშნული ფართის გაქირავების უფლება და შესაძლებლობა.*
3. *არასრულწლოვანი, რომელზეც განხორციელდა ძალადობის ფაქტი არ წარმოადგენს შპს სკოლა გრაალის მოსწავლეს - აღნიშნული საკითხი დაადასტურეს როგორც სკოლის წარმომადგენლება, ასევე, არასრულწლოვანის მშობელმა. მან განმარტა, რომ მათემატიკის მასწავლებელთან მის შვილს ამზადებდა დაახლოებით სამი წელი და ამ მიზნით დადიოდა ბავშვი სკოლა გრაალში;*
4. *2026 წლის 11 მარტს, ფაქტის დადგომის დღეს, არ მუშაობდა სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემა და კამერები - სკოლის დირექციამ დაადასტურა საჩივარში აღნიშნული წინამდებარე გარემოება და გასაუბრებისას განმარტა, რომ*

ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს - დირექტორის მოადგილეს დაავიწყდა სისტემის ჩართვა; გასაუბრებისას, ასევე, დადგინდა, რომ სკოლას არ განუხორციელებია კამერების გათიშვის საკითხის მოკვლევა, არ აქვს ჩატარებული დისციპლინური წარმოება, არ აქვს ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტება ან/და შესაბამისი სახდელის დაკისრების გადაწყვეტილება. შესაბამისად არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულებაც.

5. *ორივე მასწავლებელი იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ - აღნიშნული საკითხი დაადასტურა, როგორც თავად მათემატიკის მასწავლებელმა, ასევე, სკოლის წარმომადგენელმა, კერძოდ დირექტორის მოადგილემ. მისი განმარტებით, 2026 წლის 11 მარტს, სანამ დატოვებდა სკოლის ტერიტორიას, ნახა ორივე მასწავლებელი, ერთ-ერთმა მათგანმა მიიტანა სასმელი, თუმცა თვითონ მალევე დატოვა სკოლის ეზო. მათემატიკის მასწავლებელი კი განმარტავს, რომ ბუნდოვნად ახსოვს იმ დღეს მომხდარი ფაქტები.*
6. *მოსწავლე ცნობილია დაზარალებულად, ხოლო, გ.ბ.-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი აქვს ბრალი არასრულწლოვანზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე - საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი იქნა პროკურორის დადგენილება არასრულწლოვანის დაზარალებულად ცნობის შესახებ.*
7. *საჩივრის შინაარსის მიხედვით, სკოლამ დროებით ხელშეკრულება შეუჩერა გ.ბ.-ს, ხოლო მათემატიკის მასწავლებელს გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, რაც არ არის ჩადენილი ქმედებისთვის შესაფერისი სახდელი. ექსპერტთა ჯგუფი დირექციასთან გასაუბრების ეტაპზე დაინტერესდა სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებებით. მათი განმარტებით მათემატიკის მასწავლებელს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება და იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტი მოხდა არდადეგების პერიოდში მასწავლებელს სახდელის სახით დააკისრეს - შენიშვნა, აღნიშნული ბრძანება და მასწავლებლის ახსნა-განმარტება სკოლის მიერ გადმოგზავნილია წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. ხოლო, რაც შეეხება გ.ბ.-ს, სკოლის წარმომადგენელის განმარტებით, მასთან სკოლას შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა. სკოლამ გადმოაგზავნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გ.ბ.-სთან შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია. მისი საათები კი გადანაწილებულია სხვა მასწავლებელზე.*

   ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რატომ არ გამოიყენა სკოლამ მათემატიკის მასწავლებელთან მიმართებით შინაგანაწესის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტი, რომლის თანახმადაც დისციპლინური პასუხისმგებლობის წინა ზომების გამოყენების გარეშე დასაქმებული სამსახურიდან პირდაპირ გათავისუფლდება, სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ფაქტი მოხდა საგაზაფხულო

არდადეგების პერიოდში, მოსწავლეები არ იმყოფებოდნენ სკოლაში და შესაბამისად მათ მიერ გატარებული ღონისძიებები, კერძოდ მათემატიკის მასწავლებელზე დაკისრებული სახდელი მიიჩნიეს საკმარის ზომად.

ექსპერტები მოკვლევის პროცესში დაინტერესდნენ ქონდა თუ არა სკოლას საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ***(ინდიკატორი 3.1.2.2),*** რა ქმედებები განახორციელა სკოლამ გ.ბ.-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ და როგორ უზრუნველყო მისი კუთვნილი საათების გადანაწილება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა ბრძანება, რომლის თანახმადაც გ.ბ.-ს კუთვნილი საათები დროებით გადაუნაწილდა იგივე საგნის სკოლის სხვა მასწავლებელს. სკოლამ ასევე, წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის, საჭირო რესურსების განსაზღვრას, პერსონალის განვითარებას, ვაკანტურ ადგილზე კონკურსის გამოცხადებას და სხვა. პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შენარჩუნების გზებსაც, როგორიცაა მოტივაცია და წახალისება. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენს სკოლის პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის ნაწილს.

<u>სკოლას მიეცეს რჩევა:</u> გადაიხედოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში მითითებული ნორმატიული ბაზა, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი უკვე ძალადაკარგულია და საჭიროებს განახლებას.

ექსპერტების მიერ ინდიკატორი 3.1.2.2 არ ყოფილა სრულად შესწავლილი, თუმცა საჩივარში აღნიშნული კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე, სკოლას განხორციელებული აქვს პედაგოგის ჩანაცვლების პროცედურა.

<u>საჩივარში დაფიქსირებული გარემოებების გარდა, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ზოგადად სკოლაში არსებული უსაფრთხოების მექანიზმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მოკვლევა განხორციელდა დეტალურად, თითოეულ ინდიკატორთან მიმართებით, რომლებითაც უზრუნველყოფილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. გარდა ამისა, დირექციასთან წარმოებული გასაუბრებებისა და სკოლის ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ისეთი საკითხების შესწავლის საჭიროება, როგორებიცაა ორგანიზაციული მოწყობა, სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება, პერსონალის კვალიფიკაცია, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის საკითხები და სხვა.</u> ექსპერტთა ჯგუფის მნიშვნელოვანი მიგნებები და მათთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია დასკვნის ძირითადი ნაწილის რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობაში. ***<u>ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩეული ინდიკატორები,</u>***

გამოკვლეულ იქნა სრულყოფილად, რომელთაგან ნაწილი შეფასდა როგორც „შესაბამისი" ხოლო ნაწილი, როგორც „არ შეესაბამება" (იხილეთ ინდიკატორების დეტალური აღწერა).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული* ***(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)***
ინდიკატორი N3.1.1.2	*სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას*	*სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვევა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას* ***(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)***
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას* ***(იხ. ინდიკატორის დეტალური აღწერა)***

ინდიკატორი N3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლას არ აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წერილი.*
ინდიკატორი N3.4.1.6	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*სკოლაში არ არის დაცული ინდივიდუალური ავტორიზაციისა და ავთენტიკაციის პრინციპი და სკოლის თანამშრომელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) საქმიანობას ახორციელებს სხვა პირის მომხმარებლის პროფილის გამოყენებით.* *სკოლის მიერ არ განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების სრულყოფილად წარდგენა, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად ვერ შეისწავლა სკოლაში მოქმედი რეგულაციები.*
ინდიკატორი N3.4.1.7	*სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;*	*სკოლის თანამშრომელს არ აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) საკუთარი პროფილი და საქმიანობას ახორციელებს სხვა პირის მომხმარებლის პროფილის გამოყენებით.*
ინდიკატორი N3.4.1.8	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	*სკოლა სრულყოფილად არ ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას;*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის იმგვარად მოწყობა, რომ სრულყოფილად ქმნიდეს ინკლუზიურ გარემოს.*
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	• *სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ნასამართლეობის ცნობების წარმოდგენა შემდეგი პირებისთვის: ც.გ., ზ.კ., მ.მ., გ.ჩ., გ.ძ., ს.წ., გ.ჭ.* • *სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა შემდეგი პირებისთვის: მ.გ., ზ.კ., მ.მ., ნ.ქ., ს.წ.* • *სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა ყველა დასაქმებული პირისათვის.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*გადაიხედოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში მითითებული ნორმატიული ბაზა, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი უკვე ძალადაკარგულია და საჭიროებს განახლებას.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.2	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან*	*უზრუნველყოს მოსწავლეების და მშობლების უფრო მეტად ინფორმირება მოქმედი სასკოლო რეგულაციების შესახებ და აღნიშნული რეგულაციები განათავსოს საჯაროდ, სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებ-გვერდზე.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი, სკოლამ ასევე გადმოაგზავნა დოკუმენტი სახელწოდებით - სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა. დოკუმენტზე მითითებულია, რომ ის დამტკიცებულია დირექტორის 25.12.2024 წლის N01/კ-18 ბრძანებით. წინამდებარე ბრძანებით, სკოლას დამტკიცებული აქვს ბევრი შიდა მარეგულირებელი აქტი, თუმცა კონკრეტულად - სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა, 25.12.2024 წლის N01/კ-18 ბრძანებით დამტკიცებული არ არის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შეუსაბამობა სამივე დოკუმენტს შორის. კერძოდ, სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს განეკუთვნება: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დირექტორის მრჩეველი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, იურისტი, ბიბლიოთეკარი, ექიმი/ექთანი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, საქმისმწარმოების მენეჯერი და ბუღალტერი. ასევე, ტექნიკურ პერსონალში ვხვდებით დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს - უსაფრთხოების მანდატურს. დირექციისა და ტექნიკური პერსონალის ჩამონათვალში შეყვანილი არაა, მაგრამ დოკუმენტის არწერილობით ნაწილში ვხვდებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაო აღწერილობებს.

მაშინ როდესაც სკოლის სტრუქტურაში და საშტატო განრიგში ვერ ვხვდებით ისეთ თანამდებობებს, როგორიცაა დირექტორის მრჩეველი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და სხვა. იმის მიუხედავად, რომ სკოლის სტრუქტურა და საშტატო განრიგი დამტკიცებულია მოგვიანებით, 2025 წლის 03 სექტემბრის N01/კ-08 ბრძანებით, შეუსაბამობებს ვხვდებით ამ ორ დოკუმენტშიც. კერძოდ, სტრუქტურულ სქემაში ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პოზიციები, მაშინ როდესაც წარმოდგენილ საშტატო განრიგში აღნიშნული პოზიციები არ არის გათვალისწინებული. ასევე, ბუნდოვანია სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამუშაო აღწერილობაში მოხსენიებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი არის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში მოხსენიებული საინფორმაციო მენეჯერის თანამდებობა თუ წარმოადგენს სხვა პოზიციას.

გარდა აღნიშნულისა, საშტატო განრიგში მითითებულია, რომ სკოლას ჰყავს დირექტორის 2 (ორი) მოადგილე, ერთი საინფორმაციო მენეჯერი და სკოლის ერთი ექიმი/ექთანი, თუმცა ადგილზე ვიზიტისას და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ დირექტორს ჰყავს მხოლოდ ერთი მოადგილე, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე არ ჰყავთ დასაქმებული შესაბამისი პირები. ექსპერტთა ჯგუფმა, ვერ ნახა იმ პირთა დიდი ნაწილის ხელშეკრულებები და პირადი საქმეები, რომელთა თანამდებობებიც განსაზღვრულია სკოლის ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში. ასევე, ვიზიტის პერიოდში მოთხოვნის მიუხედავად, ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დამლაგებლის პირადი საქმეს და ხელშეკრულებას. სკოლის მიერ გადმოგზავნილია დამლაგებლის - მ.ჩ.-ს ხელშეკრულება, თუმცა ადგილზე გასაუბრებისას დირექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასთან, როგორც დამლაგებელთან, ხელშეკრულება შეწყვეტილია და ამჟამად მ.ჩ. ასრულებს ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნულს ადასტურებს EMIS-ის ბაზიდან ამოღებული თანამშრომელთა პორტირებული სიაც, რომელშიც მ.ჩ.-ს საქმიანობაში მითითებულია - ბიბლიოთეკარი. სხვა დამლაგებლის ან ბიბლიოთეკარის შესახებ სკოლას ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

სკოლის დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებისას, ასევე, დადგინდა, რომ სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი არის თავად, კერძოდ, ის აკონტროლებს შენობაში პირთა შესვლას და გასვლას, ასევე, ის არის პასუხისმგებელი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, ვიდეომონიტორინგზე. თუმცა, სკოლამ გადმოაგზავნა 2024 წლის 25 დეკემბრის N01/კ-17

ბრძანება, რომლის თანახმად, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია დირექტორის მოადგილე, სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის უზრუნველყოფაზე, ასევე, ფიზიკურ დაცვასა და საშვთა რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია უსაფრთხოების მანდატური, ვიდეომონიტორინგის სისტემის მართვაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია IT მენეჯერი, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, უკონტაქტო დათვალიერებაზე (მეტალოდეტექტორით შემოწმება) პასუხისმგებელ პირად დანიშნულა უსაფრთხოების მანდატური.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული ბრძანებაც იწვევს გაურკვევლობას, ვინაიდან, ბრძანებით ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად დანიშნული IT მენეჯერი ინიციალებით გ.გ., EMIS-ის ბაზიდან ამოღებულ თანამშრომელთა პორტირებულ სიაში არ იძებნება, მის ნაცვლად EMIS-ის ბაზაში IT მენეჯერის პოზიციაზე წარმოდგენილია სხვა პირი, რომელთანაც დირექტორის მოადგილის განცხადებით ამჟამად ხელშეკრულება შეწყვეტილია. ასევე, სკოლას უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოების მანდატური. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ორივე მანდატური არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' მე-მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტისა და ამავე ბრძანების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს იმავე სქესის უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული უნდა იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი, რათა, საჭიროების შემთხვევაში დათვალიერება განხორციელდეს სქესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას (სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სამუშაო აღწერილობას, სტრუქტურას და საშტატო განრიგს) არ შეესაბამება EMIS-ის ბაზიდან ამოღებული თანამშრომელთა პორტირებული სია. აღნიშნული სიის მიხედვით, თანამშრომელთა ბაზაში დამატებული არიან მხოლოდ, მასწავლებლები, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორი, დირექტორის ერთი მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი და იურისტი. გარდა იმისა, რომ ყველა თანამშრომლის შესახებ EMIS-ის ბაზაში არ არის ინფორმაცია სრულად ასახული, ასევე, გამოიკვეთა სხვა თანამდებობები, რომელიც სკოლაში არსებობს, მაგალითად აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია. აღნიშნული

თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები არ არის დარეგულირებული სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ EMIS-ის ბაზის მიხედვით ორგანიზაციის დირექტორი არის მ.ს., ხოლო აღმასრულებელი დირექტორი არის ორგანიზაციის დამფუძნებელი ქ.ლ.. სკოლის მიერ გადმოგზავნილი ბრძანებები, ხელშეკრულებები ხელმოწერილია EMIS-ის ბაზის მიხედვით, დირექტორის მ.ს.-ს მიერ. თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სადამფუძნებლო შეთანხმებისა და ამონაწერის მიხედვით, ორგანიზაციის ერთპიროვნული წარმომადგენლობის უფლება აქვს მის დირექტორს, რომელიც არის ორგანიზაციის დამფუძნებელი - ქ.ლ.- და არა მ.ს.. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლის მხრიდან არ წარმოდგენილა რაიმე სახის დამატებითი დოკუმენტი.

ყოველივე აღნიშნული შეუსაბამობებიდან გამომდინარე, გაურკვეველია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციების განაწილება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები არ იძლევა შესაძლებლობას ცალსახად განისაზღვროს უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების პრაქტიკა, ვერ ხდება ფუნქცია-მოვალეობების მკაფიო იდენტიფიცირება ვინაიდან, მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ურთიერთთანხვედრილი და თანმიმდევრული არ არის.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის მიერ მოწოდებულია ემისის ბაზიდან პორტირებული სია და ახალი სტრუქტურა ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. გარდა აღნიშნულისა, სკოლის მიერ გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში, მიმდინარე ინდიკატორთან მიმართებით არსებული უზუსტობების აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 15 ივნისი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არგუმენტირებული პოზიცია სკოლის მხრიდან წარდგენილია 2026 წლის 15 ივნისს. შესაბამისად, აღნიშნული დროისათვის შესაბამისობის გეგმით აქტივობების შესრულებისთვის გაწერილი ვადა იყო დამდგარი.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია შემდეგი გარემოებების გამო:
არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის ეტაპისათვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადა იყო დამდგარი, თუმცა სკოლის მხრიდან გადმოგზავნილი არ ყოფილა განახლებული დოკუმენტაცია სრულყოფილად, კერძოდ სკოლას არ გადმოუგზავნია განახლებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, რათა ექსპერტებს განეხორციელებინათ სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ხელახლი და სისტემური შესწავლა;

- *სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში უთითებს, რომ აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია სკოლაში საერთოდ არ არსებობს. თუმცა, გადმოგზავნილ ემისის ახალ ბაზაში კვლავ ფიქსირდება აღნიშნული თანამდებობა;*
- *სკოლის მხრიდან არ არის გადმოგზავნილი მ.ს., როგორც სკოლის წარმომადგენელის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;*
- *სკოლას ვიზიტის დროისათვის არ ჰყავდა ფსიქოლოგი. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ემისის განახლებული ბაზა, რომელშიც ერთ-ერთ პოზიციად ფიქსირდება ფსიქოლოგი, თუმცა, ფსიქოლოგის პოზიცია არ არის გათალისწინებული სკოლის ახალ სტრუქტურაში.*
- *სკოლას არ გადმოუგზავნია სტრუქტურაში ცვლილების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლას არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული აქვს, რომ ტექნიკური შეუსაბამობები გასწორდა სტრუქტურის სქემაში და განთავსდა სკოლის ვებ-გვერდზე, ხოლო ვებ-გვერდზე განთავსებული სტრუქტურის თანახმად, ის დამტკიცებულია 25.12 2024 წლის N01/კ-18 ბრძანებით.*
- *ინდიკატორის აღწერაში დაფიქსირებული ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს.*

შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლით და 3.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ***ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება არ არის სრულყოფილი.*** შესაბამისად, ვერ ხორციელდება სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მკაფიო იდენტიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დებულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები ნაწილობრივ განსაზღვრავს ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების საქმიანობის სფეროს, უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს, დოკუმენტაციაში არსებული შეუსაბამობები ვერ უზრუნველყოფს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების სისტემის სრულ გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას. სკოლას არ ჰყავს ექიმი და სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების მარეგულირებელი

დოკუმენტებით განსაზღვრულ თანამდებობებზე დასაქმებული სხვა პირები. შესაბამისად, სკოლას ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება უწევს შეზღუდული რაოდენობის ადამიანურ რესურსზე, რაც ერთის მხრივ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო მეორე მხრივ ართულებს ფუნქციების ეფექტიან გადანაწილებასა და კოორდინირებულ მართვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვევა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სკოლის საქმიანობის შედეგად საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მიღწევას.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის მიერ მოწოდებულია ემისის ბაზიდან პორტირებული სია და ახალი სტრუქტურა ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. გარდა აღნიშნულისა, სკოლის მიერ გადმოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში, მიმდინარე ინდიკატორთან მიმართებით არსებული უზუსტობების აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 15 ივნისი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არგუმენტირებული პოზიცია სკოლის მხრიდან წარდგენილია 2026 წლის 15 ივნისს. შესაბამისად, აღნიშნული დროისათვის შესაბამისობის გეგმით აქტივობების შესრულებისთვის გაწერილი ვადა იყო დამდგარი.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია შემდეგი გარემოებების გამო:
არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის ეტაპისათვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადა იყო დამდგარი, თუმცა სკოლის მხრიდან გადმოგზავნილი არ ყოფილა განახლებული დოკუმენტაცია სრულყოფილად, კერძოდ სკოლას არ გადმოუგზავნია განახლებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, რათა ექსპერტებს განეხორციელებინათ სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ხელახლი და სისტემური შესწავლა;

- *სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში უთითებს, რომ აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია სკოლაში საერთოდ არ არსებობს. თუმცა, გადმოგზავნილ ემისის ახალ ბაზაში კვლავ ფიქსირდება აღნიშნული თანამდებობა;*
- *სკოლის მხრიდან არ არის გადმოგზავნილი მ.ს., როგორც სკოლის წარმომადგენელის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;*
- *სკოლას ვიზიტის დროისათვის არ ჰყავდა ფსიქოლოგი. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ემისის განახლებული ბაზა, რომელშიც ერთ-ერთ პოზიციად ფიქსირდება ფსიქოლოგი, თუმცა, ფსიქოლოგის პოზიცია არ არის გათალისწინებული სკოლის ახალ სტრუქტურაში.*
- *სკოლას არ გადმოუგზავნია სტრუქტურაში ცვლილების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლას არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებული აქვს, რომ ტექნიკური შეუსაბამობები გასწორდა სტრუქტურის სქემაში და განთავსდა სკოლის ვებ-გვერდზე, ხოლო ვებ-გვერდზე განთავსებული სტრუქტურის თანახმად, ის დამტკიცებულია 25.12 2024 წლის N01/კ-18 ბრძანებით.*

- *ინდიკატორის აღწერაში დაფიქსირებული ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს.*

შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა;
2. სტრუქტურა;
3. საშტატო განრიგი;
4. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის თაობაზე;
5. EMIS-ის ბაზიდან თანამშრომელთა პორტირებული სია;
6. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
7. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
8. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
9. სადამფუძნებლო შეთანხმება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის Emis-ის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 24 თანამშრომელი, მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 17 მასწავლებლის პოზიციაზე (13 უფროსი მასწავლებელი და 4 მოწვეული), ხოლო დანარჩენი პირები ადმინისტრაციულ პოზიციებზე, კერძოდ, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორი, დირექტორის ერთი მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი და იურისტი.

როგორც სხვა ინდიკატორების აღწერილობაში გამოიკვეთა სკოლის Emis-ის ბაზა არ არის თანხვედრაში სკოლაში მოქმედ შიდამარეგულირებელ აქტებთან.

სკოლამ ვერ წარმოადგინა უსაფრთხოების მანდატურების, დამლაგებლის, დარაჯის და სტრუქტურითა და სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის მიხედვით სხვა პირების პირადი საქმეები. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეემოწმებინა ამ პირების პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაცია.

ხოლო, დანარჩენი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ მხოლოდ ერთ მასწავლებელს აქვს ნასამართლეობის ცნობები სრულყოფილად წარმოდგენილი. დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაში: ნასამართლეობის ცნობა არ აქვთ შემდეგ პირებს: ც.გ., ზ.კ., მ.მ., გ.ჩ., გ.ძ., ს.წ., გ.ჭ.

ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ არ აქვთ შემდეგ პირებს: მ.გ., ზ.კ., მ.მ., ნ.ქ., ს.წ.

ხოლო, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ აქვს მხოლოდ ერთ მასწავლებელს, სხვა დასაქმებულების არცერთ პირად საქმეში აღნიშნული ცნობა არ ყოფილა. შესაბამისად არ დასტურდება პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლამ გადმოაგზავნა ყველა თანამშრომლის პირადი საქმე. გარდა ამისა, სკოლის მხრიდან წარმოდგენილია ზოგიერთი თანამშრომლის შემთხვევაში შესაბამისი სახის ნასამართლეობის ცნობები. იმ თანამშრომლებთან მიმართებით კი ვისაც ჯერ კიდევ არ აქვს აღნიშნული ცნობები, სკოლის მხრიდან წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორი შეფასდა „მეტწილად“ შესაბამისად, ხოლო სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისი ნასამართლეობის ცნობების წარდგენა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. Emis-ის თანამშრომელთა პორტირებული ბაზა;
2. Emis-დან პორტირებულ მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვა;
3. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;
4. თანამშრომელთა პირადი საქმეები;
5. სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა;
6. არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დანერგილია საჩივრებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. აღნიშნული დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს, ითვალისწინებს კომისიის ფორმირებას ინტერესთა კონფლიქტის გარეშე, დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგად წესს და ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების დეტალურ მექანიზმს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და მიიღოს არგუმენტირებული პასუხი. მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, ***ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.***

5. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში, შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, რეგულირდება როგორც პერსონალის, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლების შრომითი უფლებების სრულ სპექტრს, მათ შორის: სამუშაო დროისა და რეჟიმის განსაზღვრას, ანაზღაურების წესსა და შვებულების გაცემის პირობებს, შრომის დაცვის წესებს, საჩივრების განხილვის ზოგად მექანიზმებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს. შინაგანაწესით გაწერილია დასაქმებულთა სამართლებრივი დაცვის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის უფლებების დარღვევის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და ნაბიჯების შესახებ დეტალურ განმარტებებს. შრომით ხელშეკრულებებსა და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცალსახად განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და საჩივრების წარდგენის მექანიზმები.

<u>ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. თანამშრომლებთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. საჩივრების განხილვის წესი.

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია გარეშე პირთაგან. სკოლის შინაგანაწესით აკრძალულია გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.
სკოლის შესასვლელი კარი იკეტება და მხოლოდ ზარის ღილაკის მეშვეობით ადმინისტარციასთან დაკავშირების შემდეგ არის შესაძლებელი შენობაში შესვლა. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების მიხედვით, სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღნიშნული პირის კვალიფიკაციის

დამადასტურებელი სერტიფიკატის ნახვის შესაძლებლობა ესქპერტთა ჯგუფს არ მიეცა, ასევე, ინფორმაცია არ იქნა გადმოგზავნილი სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაშიც. თუმცა, ვიზიტის დღეს სკოლამ ექსპერტებს წარუდგინა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი სხვა შიდა აქტები;
სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ დასაქმებულების, მოსწავლეების, მშობლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და შრომის პირობების დაცვის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით. ხოლო, სკოლაში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმად განსაზღვრულია:
ა) დარაჯი, დაცვის სამსახური, მანდატური, ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე;
ბ) ევაკუაციის გეგმის შესაბამისად განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
გ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

სკოლას 2024 წლის 25 დეკემბრის N01/კ-17 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, კერძოდ, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია დირექტორის მოადგილე, სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის უზრუნველყოფაზე, ასევე, ფიზიკურ დაცვასა და საშვთა რეჟიმის დაცვაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია უსაფრთხოების მანდატური, ვიდეომონიტორინგის სისტემის მართვაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია IT მენეჯერი, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, უკონტაქტო დათვალიერებაზე (მეტალოდეტექტორით შემოწმება) პასუხისმგებელ პირად დანიშნულა უსაფრთხოების მანდატური.
გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ორივე მანდატური (უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი) არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' მე-მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტისა და ამავე ბრძანების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს იმავე სქესის უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული უნდა იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი, რათა, საჭიროების შემთხვევაში დათვალიერება განხორციელდეს სქესის შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის მე-5 მუხლის შესაბამისად, სკოლის შენობა უზრუნველყოფილის 24 საათიანი დაცვით და ჰყავს ორი დარაჯი. ამავე მუხლის თანახმად, სკოლის შენობაში შესვლა ხდება ვიზიტორთა ჟურნალში გატარების მიხედვით. დარაჯი ვალდებულია შეავსოს ვიზიტორთა ჟურნალი და მიუითითოს ვიზიტორის ტელეფონის ნომერი და ვიზიტის დანიშნულება, სტუმრის სახელი და გვარი, სკოლაში შემოსვლის და გასვლის თარიღი და დრო. სკოლაში ვიზიტორთა და სკოლის შენობის დატოვების საკითხის კონტროლი, ასევე, ევალებათ უსაფრთხოების მანდატურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი არ სარგებლობენ 24 საათიანი დაცვის სისტემით, მათ ჰყავთ ღამის დარაჯი, ხოლო დღის განმავლობაში თავად აკონტროლებენ შენობაში შემომსვლელ და შენობიდან გამსვლელ პირებს. მოსწავლეებთან გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ არის ე.წ. ბუფეტი, დგას მხოლოდ აპარატი, რომლიდანაც მოსწავლეებს შეუძლიათ შეიძინონ წასახემსებელი. ბავშვებმა განმარტეს, რომ ისინი სკოლის შენობის გარეთ, მაღაზიაში გადიან და იქ ყიდულობენ სასურველ საკვებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის დირექციამ განმარტა, რომ მოსწავლეთა მცირე რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, დირექტორის მოადგილე გაჰყვეს ყველა ბავშვს მაღაზიამდე. ასევე, საჭიროებისამებრ დირექციის სხვა წევრებიც მიჰყვებიან მოსწავლეებს სკოლასთან ახლომდებარე მაღაზიაში, მათი განმარტებით ბავშვები, მარტო, სკოლის შენობას არ ტოვებენ.

სკოლას არ გაუზიარებია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ასევე, ექსპერტთა ჯგუფისათვის არ წარმოუდგენია მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. სკოლის სივრცეებში განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები და საევაკუაციო გეგმები.

სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც შპს სკოლა გრაალის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მისი ფუნქციონირება საფრთხის შემცველი არ არის და ექსპლუატაციისათვის ვარგისია.

ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით ხორციელდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი, თუმცა, ვიდეომონიტორინგის სისტემის გადამოწმებისას დადგინდა, რომ კამერები არ იძლევა სრული სივრცის კონტროლის შესაძლებლობას. ვიზიტის დღისათვის სკოლის პერიმეტრზე დამონტაჟებული 8 კამერიდან, მუშაობდა მხოლოდ 6 კამერა. ასევე, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ვიდეომონიტორინგის სივრცის არეალში სრულყოფილად არ ექცევა ის ეზოც (სკოლის შენობის უკანა მხარე), სადაც მოხდა 2026 წლის 11 მარტის ინციდენტი.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის მიერ გადმოგზავნილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიმართვის დამადასტურებელი სქრინები და ასევე, ვიდეოკამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა საკითხები, რომლებიც აღწერილი იყო დასკვნის პროექტში წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტებს, შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.

<u>აქედან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი. სამედიცინო კაბინეტში არ არის დაცული პრივატულობა, კერძოდ ოთახის ფანჯრებიდან მოჩანს სკოლის შენობის წინა ეზო. ფანჯრები კი არ არის დაფარული შესაბამისი ფარდით ან სხვა რაიმე მექანიზმით. სამედიცინო კაბინეტში არ არის ხელსაბანი. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში ხდება იგივე სართულზე ახლოს მდებარე საპირფარეშოში არსებული ხელსაბანის გამოყენება. კაბინეტში არ არის მედიკამენტები. სკოლამ განმარტა, რომ წამლები ატანილია დირექტორის ოთახში. ***სამედიცინო კაბინეტი არ არის აღჭურვილი*** *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისი ინვენტარით.*

გარდა აღნიშნულისა, სკოლას არ ჰყავს ექიმი. ექსპერტთა ჯგუფისა და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლას ექიმი არ ჰყავს 2024 წლიდან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებმა კითხვები დაუსვეს მოსწავლეთა მშობლებს. მათთან ინტერვიუს ეტაპზე, მშობლებმა აღნიშნეს, რომ თუკი მათი შვილი შეუძლოდაა, სკოლიდან აუცილებლად უკავშირდებიან, ატყობინებენ და მოსწავლეს ათავისუფლებენ გაკვეთილებიდან. ერთ-ერთმა მშობელმა, ასევე გაიხსენა, ფაქტი

როდესაც მისი შვილი იყო შეუძლოდ, დაუკავშირდა მას დირექტორის მოადგილე და შეუთანხმდა თუ რა წამალს დაალევინებდა მოსწავლეს.

სკოლას ამჟამად საიტზე - https://teacherjobs.ge/ განთავსებული აქვს ექიმის ვაკანსია, კერძოდ განაცხადების მიღების ვადებია 2026 წლის 17 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდი. თუმცა, წინამდებარე საიტზე, მიმდინარე სასწავლო წელს, ექიმის ვაკანსიის გამოცხადების სხვა შემთხვევა არ ფიქსირდება.

სკოლის მიერ, ასევე, არ ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული წესით დოკუმენტაციის წარმოება.

სკოლას შემუშავებული და ექსპერტებისთვის გაზიარებული აქვს სამედიცინო პერსონალის საქმიანობისა და სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება. *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სკოლას დებულებაში გასასწორებელი და კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანი აქვს ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის მიერ გადმოგზავნილია ექიმის პირადი საქმე, ასევე შესაბამისობის გეგმით გაწერილია, რომ კაბინეტის მოეწყობა 2026 წლის 30 ივნისამდე.
ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შემდეგი გარემოებების გამო:

- *სკოლას არ გამოუგზავნია ექიმის კონკურსის მასალები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა კონკურსი ჩატარებული იყო თუ არა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;*
- *ის საკითხი, რომ სკოლას არ ჰყავდა ექიმი წარმოადგენს წარსულში უკვე დამდგარ ფაქტს;*

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით შემუშავებული აქვს შინაგანაწესი. გარდა ამისა, უსაფრთხოების მანდატურებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც, აღნიშნული პირები უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, სკოლის ტერიტორიის დაცვას უცხო პირთა შემოსვლისაგან (გარდა დირექციასთან შეთანხმებული შეხვედრებისა), სკოლაში წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების, სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მოსწავლეთა შემოსვლა - გასვლის კონტროლს და სხვა. ექსპერტთა ვიზიტის დღეს სკოლის შესასვლელი სივრცე არ კონტროლდებოდა აღნიშნული პირების მიერ.

სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, თუმცა არ წარმოუდგენია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წერილი, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით".
სკოლას უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოების მანდატური. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ორივე მანდატური არის მამრობითი სქესის წარმომადგენელი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მე-მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტისა და ამავე ბრძანების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს იმავე სქესის უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული უნდა იყოს ორივე სქესის წარმომადგენელი, რათა, საჭიროების შემთხვევაში დათვალიერება განხორციელდეს სქესის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის მიერ გადმოგზავნილია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ახალი ბრძანება და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 16 დეკემბრის წერილი, რომელშიც აღნიშნულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შენიშვნები და მოსაზრებები.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების სქესის შესაბამისად განსაზღვრასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება.

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ ნაწილში:

- *საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გადმოგზავნილი წერილის შინაარსიდან, ირკვევა, რომ მათ გააჩნიათ სკოლის მიერ წარდგენილ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები, რომელიც დეტალურად არის განხილული წერილის ტექსტში. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილის შინაარსით არ დასტურდება წარდგენილი პროექტის სამინისტროსთან შეთანხმების საკითხი. აღნიშნული ხარვეზის შესახებ ინფორმაცია სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაშიც, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სამინისტროს წერილი თარიღდება 2024 წლით, ხოლო სხვა სახის მიმოწერა სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არ არის. ის ფაქტი რომ 2024 წლიდან - ვიზიტის დროისათვის სკოლას არ ჰქონდა წინამდებარე წესი შეთანხმებული, წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. შესაბამისად, <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლამ წარადგინა სასწავლო გარემოს უსაფრთხოების შეფასების წესი, რომლის მიხედვითაც დოკუმენტის მთავარი მიზანია მოსწავლეებისთვის ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის შესაბამისად, **ფსიქო-სოციალური უსაფრთხოება** ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- **ბულინგის პრევენცია:** მოქმედებს ანონიმური შეტყობინების ყუთი და საჩივრების მექანიზმი;
- **რისკ-ჯგუფები:** ფსიქოლოგის მოწვევა ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის მოზარდებთან;
- **მავნე ჩვევები:** თამბაქოს, ალკოჰოლისა და აზარტული თამაშების პრევენციისთვის ტარდება საინფორმაციო შეხვედრები.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესი. გარდა ამისა, მოსწავლეებისათვის პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, საჭიროების შემთხვევაში სკოლაში იწვევენ ფსიქოლოგს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლაში მოქმედებს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების შესახებ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი და გათვალისწინებულია ყველა ის უფლება თუ შესაძლებლობა, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. მაგალითად, წესის მიხედვით, სკოლაში დაცულია გამოხატვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, ძაუშვებელია ძალადობა და აუცილებელია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების სხვა უფლებებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თითოეულ სართულზე განთავსებული საპირფარეშოები არ არის გამიჯნული გოგოებისთვის და ბიჭებისათვის. სკოლაში საპირფარეშოების სწორად და უსაფრთხოდ მოწყობა პირდაპირ უკავშირდება მოსწავლეების ფსიქოლოგიურ და ემოციურ კეთილდღეობას. განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია პირადი სივრცის, კონფიდენციალურობისა და დაცულობის განცდა. როდესაც საპირფარეშოები გოგოებისა და ბიჭებისთვის არ არის გამიჯნული, ბევრ მოსწავლეს შეიძლება გაუჩნდეს დისკომფორტი, უხერხულობა ან შფოთვა, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში, რაც უარყოფითად აისახება მათ ემოციურ მდგომარეობასა და სკოლაში ყოფნის გამოცდილებაზე. ამიტომ, გოგოებისა და ბიჭებისთვის განცალკევებული საპირფარეშოების არსებობა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ ან ჰიგიენურ საკითხად, არამედ მოსწავლეების ღირსების, კონფიდენციალურობისა და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვან პირობად.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, რომლის თანახმადაც დასტურდება საპირფარეშოების სქესის შესაბამისად გამიჯვნა. თითოეულ კარებზე გაკრულია შესაბამისი ნიშანი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი არგუმენტირებულ პოზიციის შემდგომ შეფასდა დადებითად. აღნიშნულიდან გამომდინარე,

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

ექსპერტთა ჯგუფმა, სკოლას სთხოვა წარმოედგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. აღნიშნულის დასადასტურებლად, სკოლის მხრიდან გაზიარებული იქნა, მხოლოდ დამლაგებლის მ.ჩ.-ს ხელშეკრულება. ვიზიტის პერიოდში მოთხოვნის მიუხედავად, ექსპერტებს არ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დამლაგებლის პირადი საქმეს და ხელშეკრულებას. სკოლის მიერ გადმოგზავნილია დამლაგებლის - მ.ჩ.-ს ხელშეკრულება, თუმცა ადგილზე გასაუბრებისას დირექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასთან, როგორც დამლაგებელთან, ხელშეკრულება შეწყვეტილია და ამჟამად მ.ჩ. ასრულებს ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობებს. აღნიშნულს ადასტურებს EMIS-ის ბაზიდან ამოღებული თანამშრომელთა პორტირებული სიაც, რომელშიც მ.ჩ.-ს საქმიანობაში მითითებულია - ბიბლიოთეკარი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მიღებული განმარტებების საფუძველზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მდგომარეობა სრულად ვერ დასტურდება და არ არის ნათელი. ვინაიდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლამ წარმოადგინა პირის შრომითი ხელშეკრულება დამლაგებლის პოზიციაზე, თუმცა EMIS-ის ბაზაში აღნიშნული პირი რეგისტრირებულია ბიბლიოთეკარის სტატუსით. EMIS-ის ბაზის სისწორეს ამყარებს დამატებით, დირექტორის მოადგილის ზეპირი განმარტება, რომლის თანახმადაც აღნიშნული თანამშრომელი ამჟამად აღარ ასრულებს დამლაგებლის ფუნქციას და საქმიანობას ბიბლიოთეკარის პოზიციაზე აგრძელებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტისას მოითხოვა დამლაგებლის ხელშეკრულება და პირადი საქმე, თუმცა ადგილზე მათ წინამდებარე დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა არ მიეცათ.

ამასთან, სკოლას სხვა დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება ან შესაბამისი საკადრო დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, რის გამოც წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება, თუ კონკრეტულად რომელი თანამშრომელი უზრუნველყოფს დაწესებულებაში დასუფთავებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებას. **შესაბამისად, არსებული დოკუმენტაციისა და განმარტებების ურთიერთშეუსაბამობის გამო, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ადამიანური რესურსის არსებობა და ფუნქციური განაწილება არ დასტურდება.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, დამლაგებლის პირადი საქმე და ხელშეკრულება. სკოლის განმარტებით ბიბლიოთეკარი ითავსების დამლაგებლის ფუნქცია სკოლის მცირე კონტიგენტიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი არგუმენტირებულ პოზიციის შემდგომ შეფასდა დადებითად. აღნიშნულიდან გამომდინარე,

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმად წარმოადგინა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის 2026 წლის 25 აპრილის ხელშეკრულება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი ითვალისწინებს ოფიცრის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მიწოდების ვალდებულებას, რომელიც ქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თუმცა, შესაბამისი სამსახური ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად მითითებულია სხვა პირი.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> *შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ცვლილებასთან დაკავშირებით.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მოთხოვნილ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების სრულყოფილად წარდგენა, თუმცა სკოლის მხრიდან გადმოგზავნილი იქნა მხოლოდ ოფიცრის ხელშეკრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას დეტალურად შეესწავლა აღნიშნულ საკითთხთან დაკავშირებული სკოლაში მოქმედი სხვა რეგულაციები.

EMIS-ის ბაზის შესწავლისას, დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ IT მენეჯერის პოზიციაზე წარმოდგენილი პირი ინიციალებით ნ.ს. ამჟამად სკოლაში აღარ მუშაობს, თუმცა, ის იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ნ.ს.-სთვის შექმნილ პროფილს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების იმ სტანდარტების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას არამართლზომიერი წვდომის, გამოყენების, გამჟღავნების, შეცვლისა და სხვა არაუფლებამოსილი მოქმედებებისგან. მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ **სკოლის დირექტორის მოადგილე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) საქმიანობას ახორციელებს სხვა პირის მომხმარებლის პროფილის გამოყენებით.** აღნიშნული გარემოება ქმნის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის რისკს, ვინაიდან სისტემაში განხორციელებული მოქმედებების რეალური ავტორის იდენტიფიცირება გართულებულია. შეუძლებელია იმის დადგენა, რეალურად ვინ ახორციელებდა კონკრეტულ მოქმედებას, ვინ იყო პასუხისმგებელი მონაცემთა დამუშავებაზე და რამდენად იყო უფლებამოსილი შესაბამის ინფორმაციაზე წვდომა.

ასეთი პრაქტიკა ქმნის იდენტიფიკაციის პრობლემას, რადგან ელექტრონულ სისტემაში ასახული მოქმედებები ფორმალურად დაკავშირებულია იმ პირთან, ვისი პროფილიც გამოიყენება და არა იმ თანამშრომელთან, ვინც რეალურად მუშაობს სისტემაში. შედეგად, ირღვევა მონაცემთა უსაფრთხოების, სიზუსტისა და ორგანიზაციული კონტროლის პრინციპები.

სხვა პირის ანგარიშის გამოყენება მიუთითებს, რომ სკოლაში არ არის დაცული ინდივიდუალური ავტორიზაციისა და ავთენტიკაციის პრინციპი, რაც ზრდის პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილი წვდომის, მონაცემთა არასათანადო გამოყენებისა და უსაფრთხოების ინციდენტების რისკს. ამასთან, აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება მონაცემთა უსაფრთხოების იმ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც თითოეული მომხმარებელი ვალდებულია სისტემით ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი ავტორიზაციის მონაცემების გამოყენებით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის სტანდარტი დარღვეულია ვინაიდან, სისტემაში დაფიქსირებული ქმედებები ოფიციალურად უკავშირდება იმ მომხმარებელს, რომლის ანგარიშიც გამოიყენება, და არა იმ თანამშრომელს, რომელიც რეალურად ასრულებს სამუშაოს EMIS-ის ბაზაში.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან მიმართვის წერილი, ასევე, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და წერილით მიმართა სსიპ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ცვლილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა EMIS-ის ბაზაში სხვა მომხმარებლის პროფილის გამოყენება წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს, გარდა ამისა, სკოლის მხრიდან კვლავ არ მომხდარა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სრულყოფილი მექანიზმების ექსპერტებისათვის წარდგენა, შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

3.4.1.6 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ***სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები ირღვევა. კერძოდ,*** მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორის მოადგილე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) საქმიანობას ახორციელებს ყოფილი თანამშრომლის (IT მენეჯერის, ნ.ს.-ს) მომხმარებლის პროფილით, რომელიც ამჟამად სკოლაში აღარ მუშაობს. შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში ასახული ნებისმიერი ქმედება ფორმალურად უკავშირდება არა რეალურ შემსრულებელს, არამედ იმ

პირს, ვისი პროფილიც გამოიყენება. შედეგად, შეუძლებელია იმის ობიექტურად დადგენა, თუ ვინ განახორციელა კონკრეტული მანიპულაცია ბაზაში, ვინ იყო პასუხისმგებელი მონაცემთა დამუშავებაზე და რამდენად უფლებამოსილი იყო პირი და რამდენად ჰქონოდა წვდომის უფლება შესაბამის კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რაც ზრდის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის რისკებს.
აღნიშნული ქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტებს და არღვევს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს - მონაცემთა უსაფრთხოებას. წინამდებარე კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას არ გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი.
სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან მიმართვის წერილი. მიუხედავად აღნიშნულისა EMIS-ის ბაზაში სხვა მომხმარებლის პროფილის გამოყენება წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს, შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის უსაფრთხოების შეფასების წესი. რომლის თანახმადაც, დოკუმენტის შექმნის მიზანია მოსწავლეთათვის ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. მიზნის მისაღწევად:

ფიზიკური გარემოს უსაფრთხოება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:
- **პერიმეტრის კონტროლი:** მოქმედებს მორიგეობის განრიგი, შენობა აღჭურვილია ვიდეოკამერებით.
- **შენობის მდგრადობა:** კონსტრუქციული ექსპერტიზა ჩატარებულია, ხარვეზები არ ფიქსირდება.
- **ლაბორატორიები:** ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიაში ნივთიერებები ინახება ჩაკეტილ კარადებში.
- **სპორტული დარბაზი:** ინვენტარი მყარად არის დამაგრებული, იატაკი ანტიმოცურების საფარითაა.

ფსიქო-სოციალური უსაფრთხოება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:
- **ბულინგის პრევენცია:** მოქმედებს ანონიმური შეტყობინების ყუთი და საჩივრების მექანიზმი;

- **რისკ-ჯგუფები:** ფსიქოლოგის მოწვევა ინდივიდუალური კონსულტაციებისთვის მოზარდებთან.
- **მავნე ჩვევები:** თამბაქოს, ალკოჰოლისა და აზარტული თამაშების პრევენციისთვის ტარდება საინფორმაციო შეხვედრები.

სახანძრო და საგანგებო სიტუაციების მართვა ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- **ევაკუაციის გეგმა:** სქემები გაკრულია ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას.• ინვენტარი: ცეცხლმაქრები შემოწმებულია, ვადავალიდურია და განთავსებულია ხელმისაწვდომ სივრცეებში დამუხტულ მდგომარეობაში
- **სავარჯიშო სიმულაციები:** წელიწადში ორჯერ ტარდება პრაქტიკული საევაკუაციო მზაობის ტრენინგი.

სკოლას არ წარმოუდგენია წინამდებარე დოკუმენტის მონიტორინგის ამსახველი მასალები, რომელიც ზემოაღნიშნული წესის თანახმად ხორციელდება წელიწადში ერთხელ (ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში) და შესაბამისად უნდა განეხორციელებინა მიმდინარე სასწავლო წლის სექტემბერშიც.

სკოლამ ექსპერტებს გაუზიარა 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელებული მშობელთა კვლევის შესახებ ანგარიში. კვლევაში მოცემული კითხვებიდან, მხოლოდ ორი კითხვაა ისეთი (რა მოსწონთ ყველაზე მეტად სკოლაში და რა გაუმჯობესდა ბოლო დროს), რომელთა პასუხებში ერთ-ერთი ამოსარჩევი ვარიანტია უსაფრთხოება და მშობელს შეუძლია შემოხაზოს ეს პასუხი. გამოკითხვაში მონაწილე 33 მშობლიდან, 7 მშობელი უთითებს, რომ ბოლო დროს სკოლაში გაუმჯობესებულია უსაფრთხოება, ხოლო 6 მშობელი აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად სკოლაში მოსწონს ეკოლოგიური და უსაფრთხო გარემო.

სკოლას არ წარმოუდგენია სასკოლო გარემოს უსაფრთხოების შეფასებისთვის სრული და სრულფასოვანი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა და თანამშრომლები) გამოკითხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. გასაუბრების ეტაპზე, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ავსებენ ხოლმე კითხვარებს სხვადასხვა საკითხებზე. თუმცა აღნიშნული კითხვარის შედეგები ექსპერტებისათვის უცნობია.

სკოლას არ წარმოუდგენია უსაფრთხოების შეფასებისთვის გამოყენებული არც სხვა მეთოდი თუ ინსტრუმენტი.
შესაბამისად, არ დადასტურდა, რომ სკოლა სრულყოფილად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, სკოლის განმარტებით მიმდინარე სასწავლო წელს და მომავალში სისტემატიურად

უზრუნველყოფენ ადამიანებისა და პროცესების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას დაა შედეგების გათვალისწინებით მექანიზმების გაუმჯობესებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია, ვინაიდან საკითხი რომელიც დაფიქსირებულია ინდიკატორის აღწერაში წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს, შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
3. ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
4. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები;
5. უსაფრთხოების შეფასების დოკუმენტი;
6. უსაფრთხოების პოლიტიკა;
7. სამედიცინო პერსონალის საქმიანობისა და სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება;
8. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
9. 2024-2025 წლის მშობელთა კვლევის შესახებ ანგარიში;
10. დამლაგებლის ხელშეკრულება;
11. უსაფრთხოების მანდატურების ხელშეკრულებები;
12. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ხელშეკრულება;
13. EMIS-ის ბაზიდან თანამშრომელთა პორტირებული სია;
14. არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ინკლუზიური გარემო ნიშნავს, რომ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლის ყველა სერვისსა და სივრცეზე. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, ასევე, სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს რომ საჭიროების შემთხვევაში, პირველ და მეორე სართულებს შორის გადასაადგილებლად იყენებენ მოძრავ პანდუსს. **სასკოლო გარემოს დათვალიერებისას დადგინდა, რომ ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე, თუმცა ეტლით მოსარგებლისათვის მისი გამოყენება პრაქტიკულად შეზღუდული იქნება ვინაიდან, ბიბლიოთეკაში შესასვლელად აუცილებელია კიბის რამდენიმე საფეხურის ჩავლა. გარდა ამისა, მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშო, თუმცა, საპირფარეშოს კარს აქვს ზღურბლი.**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, სკოლის შესაბამისობის გეგმის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს ინდიკატორის აღწერაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლას შესაბამისობის ტიპში მითითებული აქვს „მეტწილი“, ხოლო აქტივობების შესრულების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 ივნისი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი არგუმენტირებულ პოზიციის შემდგომ შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შესაბამისი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად“ დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შენობის დათვალიერება.
2. არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა;

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, განცხადების/საჩივრის განხილვის შიდა წესი, უსაფრთხოების წესები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ადაპტაციის მექანიზმი, მედიაციის მარეგულირებელი დოკუმენტი, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები და სხვა. სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აღნიშნული დოკუმენტი სრულად მოიცავს იმ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავით. მოსწავლეები, მშობლები გასაუბრების ეტაპზე აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში მათი უფლებები დაცულია და დირექცია მყისიერად რეაგირებს მათ საჭიროებებზე. ასევე, მათი თქმით იცნობენ სკოლაში მოქმედ რეგულაციებს. მათ გაიხსენეს საჩივრისა და განცხადების წარდგენი წესი, თუმცა აღნიშნეს, რომ გასაჩივრების პროცედურის გამოყენება საჭირო არასდროს გამხდარა. ზოგიერთმა მშობელმა აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ ვინაიდან კლასში საკმაოდ ცოტა მოსწავლეა მათი შვილები იღებენ ხარისხიან განათლებას და კმაყოფილები არიან უსაფრთხოებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, საფრთხოების პოლიტიკა, სკოლის სტრუქტურა, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა.
<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> *უზრუნველყოს მოსწავლეების და მშობლების უფრო მეტად ინფორმირება მოქმედი სასკოლო რეგულაციების შესახებ და აღნიშნული რეგულაციები განათავსოს საჯაროდ, სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებ-გვერდზე.*
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მომსახურების საფასური, სერვისის მიწოდების რეგულაციები და მნიშვნელოვანი საკითხები.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. განცხადების/საჩივრის განხილვის შიდა წესი;
3. უსაფრთხოების წესები;
4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
5. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 02.07.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: